პურიტანიზმისა და ტრანსცენდენტალიზმის

შეხვედრა ნათანიელ ჰოთორნის

მეწამულ სიმბოლოში

რუსუდან იაღანაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე

ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია

რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: ანგლისიტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

რუსუდან იაღანაშვილი, 26.06.2017

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ნათანიელ ჰოთორნის, თვალსაჩინო მწერლის შემოქმედების მაგალითზე შევისწავლოთ XIX საუკუნის ამერიკული ლიტერატურის განვითარების გზა. ჰოთორნის შემოქმედება შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ ხიდად პურიტანიზმსა და ტრანსცენდენტალიზმს შორის. ამ პროცესის გასაანალიზებლად აუცილებლად მივიჩნიეთ შეგვესწავლა წინა საუკუნეების ლიტერატურული ტრადიციები, აგრეთვე XIX საუკუნის დასაწყისში დამკვიდრებული რომანტიზმის ძირითადი ტენდენციები და რაც მთავარია, ტრანსცენდენტალიზმის გავრცელების როლი ეროვნული მწერლობის ჩამოყალიბებაში, რამაც განსაზღვრა ნათანიელ ჰოთორნის შემოქმედებითი კრედო და ასე ნათლად აისახა მის ნაწარმოებებში. პარალელურად საჭიროდ მივიჩნიეთ იმ ფილოსოფიური წანამძღვრების შესწავლა, რამაც განაპირობა ამერიკული ტრანსცენდენტალიზმი, რასაც შემდეგ ემერსონისა და ტოროს დოქტრინა დაეყრდნო და თავად ჰოთორნიც იზიარებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პურიტანულ ფანატიზმსა და ზნე-ჩვეულებებზე აგებული მისი პირველი რომანი *მეწამული სიმბოლო,* რომელიც მორალურ-ფილოსოფიურ თემას ეხება. აუცილებლად მივიჩნიეთ მწერლის მცირე ზომის ადრეული ნაწარმოებების შესწავლაც, რადგან მათში უკვე ჩნდება ანალოგიური თემატიკა და ერთგვარად განსაზღვრავს რომანის პრობლემატიკას. ამრიგად, მიგვაჩნია, რომ ჰოთორნის შემოქმედებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ამერიკული ლიტერატურის ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პურიტანული ფანატიზმი, ტრანსცენდენტალიზმი, ეროვნული მწერლობა, რომანტიზმი.

Abstract

The aim of this master thesis is to study the main path of the 19th century American literature on the basis of Nathaniel Hawthorne's prose. Hawthorne's legacy can be regarded as a bridge between puritanism and transcendentalism. To fully embrace this process of thought it is necessary to conduct a study of the foregoing literary traditions, to focus on the major trends established by the early XIX century Romanticism and, most importantly, on the role of literature in promoting transcendentalism which ultimately shaped Nathaniel Hawthorne's creative credo so clearly reflected in his works. At the same time we considered closely the philosophical mainspring of American transcendentalism on which Emerson and Toro's doctrine rests and which was shared by Hawthorne and was immensely influential in American life and thought. In this respect, with its puritanical fanaticism and morality Hawthorne's first novel The Scarlet Letter raises crucial questions of philosophical order. To provide a better insight into the problem and to reinforce the argument with references, we made a special study of some of the author's early writings closely related to the issue under discussion. Thus, we think that Hawthorne's works have had a great impact on the development of the national American literature.

Key Words: Puritan fanaticism, Transcendentalism, National literature, Romanticism.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ პაატა ჩხეიძეს სამაგისტრო თემაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის.